



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
№ 27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია
განკარგულება N66 /2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის № 11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი N11.27.46 ქსნის პენიტენციური დაწესებულების საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ვაკანტურ ადგილებზე შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

ქ. მცხეთა

2020 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 76¹ მე-9 პუნქტის და 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 15 ნოემბრის №56/2020 დადგენილების, 2020 წლის 23 ივლისის №16/2020 დადგენილების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის 10 ივლისის №52/2020 განკარგულებისა და „საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსის წესის, პირობებისა და ვადების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2020 წლის პირველი სექტემბრის №69/2020 განკარგულების საფუძველზე, №27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს.

მუხლი 1. გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის №11 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი N11.27.46 ქსნის პენიტენციური დაწესებულების საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტურ ადგილებზე შესარჩევი კონკურსი.

მუხლი 2. საბუთები მიიღება 2020 წლის 16 ნოემბრიდან 12 საათიდან -17 ნოემბრის 12 საათამდე მატერიალური სახით, შემდეგ მისამართებზე:

1. №19 თიანეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: დ.თიანეთი რუსთაველის ქ.№54);
2. №27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. მცხეთა აღმაშენებლის ქ.№51);
3. №28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. დუშეთი მ. კოსტავას ქ. №23);
4. №29 ყაზბეგის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: დ. სტეფანწმინდა აღმაშენებლის ქ. №9);

ან ელექტრონული სახით შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე:

19 tianeti@cec.gov.ge,

27 mtskheta@cec.gov.ge,

28 dusheti@cec.gov.ge,

29 kazbegi@cec.gov.ge;

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივანი



რ. აზარაშვილი

ა. მარტოლეკოი